ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2276469

ნომერი: AR1349372

თარიღი : 15.10.2015

გაცემის თარიღი : 03.11.2015

გაცნობის თარიღი : 03.11.2015

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ბენდელიანის და ალექსიძის , ქუჩებს შორის ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ეკატერინე მიშველაძე პ/ნ 01026003810
- თბილისი ვ.დოლიძის ქ. კორ. 28 ბ. 86

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი AR1349372 (15.10.15.) ელექტრონული განაცხადის პასუხად სადაც ითხოვთ ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, ბენდელიანის და ალექსიძის ქუჩებს შორის არსებულ მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით #01.10.13.040.021, მრავალფუნქციური ბიზნეს ცენტრის ასაშენებლად მომზადებულ #1159 (27.11.2008წ.) ქალაქთმშენებლობით პირობებში ცვლილებას საცხოვრებელი ფუნქციის დამატების მიზნით, გაცნობებთ: რადგან

ქალაქ თბილისის მერის #904 (01.10.08.) განკარგულებით, ტერიტორიის მრავალფუნქციური ბიზნეს ცენტრის ფუნქციით განვითარებისათვის მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი და მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური მინიჭებული ჰქონდა კ-1=0.7და კ-2=4.0. ნაკვეთის ახალი ფუნქციით (საცხოვრებელი) სამშენებლოდ განვითარებისთვის საჭირო გახდა აღნიშნულ განკარგულებაში ცვლილების შეტანა ახალი ფუნქციის დაფიქსირებით. საკითხი განხილულ იქნა ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის სხდომაზე, რომლის დასკვნის შესაბამისად საკითხი გადაწყდა უარყობითად. საბჭოს წევრთა რეკომენდაციით ნაკვეთი არ იძლევა სრულფასოვანი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების შესაძლებლობას და მისი ფუნქციონირებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის შექმნის საშუალებას, ვერ ეწყობა პარკინგები, ამასთან არამიზანშეწონილია წარმოდგენილი ესკიზის შესაბამისად ნაკვეთის უკანა მიჯნაზე ყრუ კედლის არსებობა, რაც გამოწვეულია სამეზობლო მიჯნების დაცვის პირობით.

აღნიშნულიდან გამომდინარე სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვდა #1159 (27.11.2008წ.) ქალაქთმშენებლობით პირობებში ცვლილების განხორციელების თაობაზე.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.